

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე წინა სასკოლო ასაკის
ბავშვების ყოველდღიური საკომუნიკაციო უნარების
პრაგმატული ენის საჭიროებების გათვალისწინება სხვადასხვა
ტიპის თერაპიებში

რუსუდან კალანდარიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2021

სარჩევი

აბსტრაქტი	3
შესავალი	6
სოციალური კომუნიკაციის განვითარება	8
განვითარებაზე დაფუძნებული სოციალურ-პრაგმატული მოდელი (DSPM – Developmental Social-Pragmatic Model).....	13
ყოველდღიური საკომუნიკაციო უნარების პრაგმატული პროფილი ბავშვებში.....	16
კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვა.....	21
<i>კვლევის დიზაინი</i>	21
<i>კვლევის მონაწილეები</i>	21
<i>კვლევის პროცედურა და გამოყენებული ინსტრუმენტი</i>	22
კვლევის შედეგები	24
მონაცემთა განხილვა/ანალიზი.....	35
კვლევის შეზღუდვები.....	48
გამოყენებული ლიტერატურა:.....	49
დანართი N1.....	53

აბსტრაქტი

კვლევაში გამოყენებული კითხვარი: „*ბავშვთა ყოველდღიური საკომუნიკაციო უნარების პრაგმატული პროფილი*“ (The Pragmatic Profile of Everyday Communication Skills in Children; Dewart, H., Summers, S. 1995) მოიაზრებს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების გამოწვევების მქონე ბავშვების საკომუნიკაციო უნარების გამოვლინებაზე დაკვირვებას ყოველდღიური ინტერაქციისას. პრაგმატულ უნარებზე მუშაობა სხვადასხვა ინტერვენციის ფარგლებში სხვადასხვა მიდგომებით ხდება, ამიტომ მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რამდენად ხდება აღნიშნული სამუშაო პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტების სამუშაო მიზნებში გადატანა და მიზანმიმართული მუშაობა. კვლევის მიზანია გამოვავლინოთ, ხდება თუ არა პრაგმატული უნარების განვითარების გათვალისწინება, მიზნების შემუშავებისას, ადრეული ინტერვენციის სხვადასხვა პროგრამაში.

კვლევა თვისობრივია და მოიაზრებს, როგორც აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების მშობლების, ასევე მათთან მომუშავე სპეციალისტების ჩართულობას. კვლევის ფარგლებში მოხდა მშობლებისგან და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისგან ინფორმაციის მოპოვება პრაგმატული პროფილის დახმარებით, შეხვედრები ინტერვიუს ფორმატში მიმდინარეობდა და ტარდებოდა ონლაინ. სპეციალისტებთან მიზნების განხილვაც მოხდა, რის შემდეგაც შედარდა მათი და *პრაგმატული პროფილიდან* მიღებული საჭიროებები და მიზნები.

სპეციალისტისა და მშობლის პერსპექტივიდან დანახული ბავშვის პრაგმატული ენის პროფილის კვლევის შედეგად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ მშობლისა და სპეციალისტების გამოცდილება ბავშვის ყოველდღიურ პრაგმატულ უნარებთან დაკავშირებით ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა აზრთა განსვლის მიზეზად, ძირითადად, სწორედ განსხვავებულ კონტექსტში ბავშვის მიერ გამოყენებული განსხვავებული საკომუნიკაციო ქცევები გვევლინება.

რაც შეეხება, სპეციალისტების მიერ შემუშავებულ მიზნებს, გამოვლინდა, რომ სპეციალისტების მიერ მოწოდებული მიზნები ნაკლებად შეესაბამებოდა

პრაგმატული პროფილის მიხედვით გამოყოფილ მიზნებს (რომელიც გამოიყო კვლევის ფარგლებში) თუმცა, როგორც თავად სპეციალისტებმა და მშობლებმა აღნიშნეს, გაწერილი მიზნების მიღმა, სამუშაო პროცესში *პროფილში* გამოკვეთილ საკითხებზე ხდება ყურადღების გამახვილება და მუშაობა, ხოლო მიზნებში მათი გაწერა იშვიათად ხდება.

საკვანძო სიტყვები: პრაგმატული პროფილი, სოციალური კომუნიკაცია, პრაგმატული პროფილის მიზნები, ყოველდღიური საკომუნიკაციო უნარები ბავშვებში.

Abstract

The questionnaire -*The Pragmatics Profile of Everyday Communication Skills in Children* (Dewart, H., Summers, S. 1995)- which was used for the study, considers observation process on the expression of communication skills in children with communication, language and speech challenges during daily interaction. Working on the development of pragmatic skills involves different interventions through different approaches, so it is important and interesting to see how important aspects of this work process are being shifted to work goals and purposeful work is being done. The aim of the study is to identify whether development of pragmatic skills are taken into account when developing goals in different early intervention programs.

The study is qualitative and considers the involvement of parents of children with autism spectrum disorders and specialists as well working with them. Within the framework of the study information from parents and professionals working with children was collected through a pragmatic profile, interviews were conducted in an interview format, online. The goals were also discussed with the specialists, after which their needs and goals gained from the pragmatic profile were compared.

Having examined the child's pragmatic language profile from the perspective of a specialist and a parent, we can see that the parent and specialist's experiences of the child's daily pragmatic skills mainly coincide, however, the reason for the differences is mainly the different communication behaviors used by the child in different contexts.

As for the goals developed by the specialists, it was revealed that the goals were less in line with the pragmatic profile goals (which were highlighted in the study), however, as the specialists and parents themselves noted, beyond the written goals, the attention is paid to the profile issues in the course of working process while they are rarely mentioned or highlighted in the goals.

Key words: Pragmatic Profile, Social Communication, Goals of Pragmatic Profile, Everyday Communication Skills in Children.